სააქციო საზოგადოება "ელმავალმშენებელი"
Акционерное Общество «Электровозостроитель»
Joint Stock Company "Elmavalmshenebeli"

0178, ქ. თბილისი, საქართველო
დ. გურამიშვილის გამზ. 84
ტელ./ფაქსი: 995 32 265 31 15
995 32 265 31 14
995 32 265 31 10
995 32 265 31 42
995 32 265 33 77
ელ-ფოსტა: ellocomotive@glmf.ge
www.glmf.ge, www.tevz.ru

0178, г. Тбилиси, Грузия
пр. Д. Гурамишвили 84
Тел./ Факс: 995 32 265 31 15
995 32 265 31 14
995 32 265 31 10
995 32 265 31 42
995 32 265 33 77
Эл-почта: ellocomotive@glmf.ge
www.glmf.ge, www.tevz.ru

0178, Tbilisi, Georgia
D. Guramishvili ave. 84
Tel./Fax: 995 32 265 31 15
995 32 265 31 14
995 32 265 31 10
995 32 265 31 42
995 32 265 33 77
E-mail: ellocomotive@glmf.ge
www.glmf.ge, www.tevz.ru

№AOE-70-05/01-21-122 **11 აპრილი 2017 წელი**

სს „საქართველოს რკინიგზის"
სატვირთო გადაზიდვების დირექტორს
ბატონ გ.გურამიშვილს

„ელმავლების პარკის შეცვლის
ტექნიკურ–ეკონომიკური
დასაბუთების ექსპერტიზის
შესახებ"

ბატონო გურამ,

ჩვენ განვიხილეთ „ელმავლების ეფექტურობის ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების ექსპერტიზის ანგარიში", რომელიც შეასრულა ОАО «РЖД»–ს ფილიალმა საპროექტო–საკონსტრუქტორო ბიურომ და გადმოგცათ თქვენ წერილით №405/ПКБ ЦТ, 30.01.2017 მისი დირექტორის ი.ი.პოპოვის ხელმოწერით.

ჩვენს მოსაზრებებს „საქართველოს რკინიგზის მონაკვეთზე ლოკომოტივების პარკის 8E1A ელმავლებით შეცვლის ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების" შენიშვნებზე გადმოგცემთ პუნქტების მიხედვით.

პუნქტი 1. ცხრილში №2 – 8E1A ელმავლის ტექნიკური მომსახურეობების და რემონტების პერიოდულობა განსაზღვრულია, „მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავალი საქართველოსთვის" ტექნიკური მოთხოვნების ცხრილი №15.1–ის მიხედვით.
ცხრილი 15.1 - ტექნიკური მოთხოვნების და რემონტების პერიოდულობა.

რემონტის სახეობა	რემონთშორისი გარბენი
ტექნიკური დათვალიერება (TO-2), კმ, არანაკლებ	10 000
ტექნიკური მომსახურეობა (TO-3), კმ, არანაკლებ	100 000
მიმდინარე რემონტი (TP-1), კმ, არანაკლებ	200 000
მიმდინარე რემონტი (TP-2), კმ, არანაკლებ	400 000
მიმდინარე რემონტი (TP-3), კმ, არანაკლებ	600 000
საშუალო რემონტი (CP), კმ, არანაკლებ	1 200 000
კაპიტალური რემონტი (KP), კმ, არანაკლებ	2 400 000

როგორც ცხრილი №15.1 ჩანს, ტექნიკური მომსახურეობის და რემონტების პერიოდულობა დგინდება რემონტშორისი გარბენების სიდიდით (კმ) და არა დროის მიხედვით. 8E1A ელმავალის მსახურობის ვადაში რემონტების რაოდენობების

განსაზღვრისათვის, ცხრილში №6 საჭირო გახდა რემონტშორისი გარბენების სიდიდის კილომეტრებიდან დროით განზომილებებში გადაყვანა.

სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოქვეყნებულ დანართში №2 „საწყისი მონაცემები ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშისთვის“, პუნქტში №3 „ВЛ10/ВЛ11/Проектი ელმავლების რემონტის სისტემა, მათი პერიოდულობა“ მითითებულია, რომ საქართველოს რკინიგზაზე, ერთ თვეში ელმავლის გარბენი შეადგენს 12500 კმ. №15.1 ცხრილში მითითებული გარბენების 12500 კმ–ზე გაყოფით მიღებულ იქნა რემონტშორისი გარბენები დროით განზომილებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, 8E1A ელმავლის ტექნიკურ მომსახურეობასა და რემონტებს შორისი პერიოდები მიღებულ იქნა შესაბამისი სერიის ელმავლების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მიმდინარე რემონტის და ტექნიკური მომსახურეობის წესების შესაბამისად.

სხვა რაიმე კონკრეტული მოთხოვნა ამ საკითხზე საპროექტო საკონსტრუქტორო ბიურო – ПКБ ЦТ–ს მხრიდან არ ყოფილა.

პუნქტი 2. „საქართველოს რკინიგზის მონაკვეთზე ლოკომოტივების პარკის 8E1A ელმავლებით შეცვლის ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების“ მე–3 თავში, შესრულებულია ლოკომოტივების საინვენტარო პარკის დაწვრილებითი ანგარიში ფორმულების სახით და რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით.

პუნქტი 3. პუნქტებში 4.2, 4.3, 4.6, 5.1, 5.2 მოცემულია დაწვრილებითი ანგარიში ფორმულების სახით და რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით.

პუნქტი 4. ТО-2 რაოდენობა ცხრილში 6 მითითებულია 549 იმის გათვალისწინებით, რომ ТО-3, ТР-1, ТР-2, ТР-3, КР-1, КР-2 რემონტების ჩატარებისას, ТО-2 ჩატარდება მითითებული რემონტების მოცულობაში, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნის მოთხოვნის თანახმად ცხრილში 6, ТО-2 რემონტების რაოდენობა მითითა 608.

პუნქტი 5. დანართში №2 „საწყისი მონაცემები ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშისთვის“ მითითებულია, რომ სალოკომოტივო ბრიგადების რაოდენება, რომლებიც 1 ელმავალს უწევენ მომსახურეობას საავადმყოფო ფურცლების და შვებულებების გათვალისწინებით არის 4,13. სალოკომოტივო ბრიგადის ერთ ელმავალზე ყოფნის დრო – 5,65 სთ. ამიტომ, სალოკომოტივო ბრიგადის მუშაობის ანაზღაურების გასაანგარიშებლად 1 ელმავლისათვის წელიწადში, საჭიროა 11 446 აშშ დოლარი გამრავლდეს 4,13–ზე, რაც შეადგენს 47 272 აშშ დოლარს.

პუნქტი 6. თქვენთვის AOE-70-05/01-001-10, 11.01.2017 წერილით გამოგზავნილ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში ბაზური ელმავლის ფასი შეადგენს 3 150 000 აშშ დოლარს (თავი 5, პუნქტი 5.1). 11.04.2017-ში გადამუშავებულ ტექნიკურ ეკონომიკურ დასაბუთებაში ბაზური ელმავლის ფასი ასევე შეადგენს 3 150 000 აშშ დოლარს, თანახმად დანართი #5-სა - „საწყისი პარამეტრები ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გაანგარიშებისათვის“.

<u>**დანართი:**</u>

„საქართველოს რკინიგზის ლოკომიტევების საინვენტარო პარკის შეცვლის ტექნიკურ–ეკონონომიური დასაბუთება“ 2017 წლის რედაქციით –41 ფურცელი;

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მ.შ. **დ. გორგოძე**